პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით

განხორციელების ვადა: 10.10.2019 - 10.10.2021

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 377 068

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Cultural Humanitarian Fund Sukhumi

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/CSO-Forum-of-Guria-Imereti-and-Racha-Lechkhumi-110964857021929/

პროექტის ვებსაიტები: csoforum.ge/

პროექტის აღწერა:

ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას. ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის ფარგლებში საჯარო მმართველობის რეფორმა (PAR) მნიშვნელოვან ელემენტადაა მიჩნეული საქართველოში დემოკრატიული ცვლილებების შენარჩუნების მიზნით. ეფექტიანი და გამჭვირვალე საჯარო მმართველობის მიღწევა წარმოადგენს რეფორმის ძირითად მიზანს, ხოლო ამ პროცესის მონიტორინგში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამოქალაქო სექტორი.
პროექტი ხელს უწყობს საჯარო მმართველობის რეფორმის გამჭვირვალობას იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ რეფორმის პროცესის მონიტორინგის მეშვეობით. მონიტორინგისთვის საჭირო უნარების განვითარებისათვის პროექტი სამოქალაქო ორგანიზაციებს შესაბამის ტრენინგებს უტარებს. იქმნება დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო ფორუმი, რომლის ფარგლებშიც სამოქალაქო ორგანიზაციები 8 მუნიციპალიტეტში ახორციელებენ რეფორმის მონიტორინგს.

მოსალოდნელი შედეგები:

- 12 სამოქალაქო ფორუმის, ტრენინგებისა და კონფერენციების ორგანიზება, ტრენინგების სახელმძღვანელოს შემუშავება. - 18 ტრენინგის ჩატარება.
- დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო ორგანიზაციების უკეთესი ცნობიერება ადვოკატირების, მონიტორინგის, პოლიტიკის დიალოგის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, დაფინანსების, ორგანიზაციული საკითხებისა და საჯარო მმართელობაში ადგილობრივი მოქალაქეების ჩართულობის საკითხებზე.
- ადგილობრივი ინტერესთა ჯგუფებისთვის საკონსულტაციო პროგრამის ჩამოყალიბება.
- 16 სამოქალაქო ორგანიზაციისთვის ქვე-გრანტების ამოქმედება პროექტის საქმიანობების განხორციელებისთვის, 10 ადგილობრივი ჯგუფის ქვე-გრანტის სქემის ამოქმედება ახალი სამოქალაქო ორგანიზაციების ჩამოსაყალიბებლად.
- საჯარო მმართველობის რეფორმის ალტერნატიული ანგარიშების მომზადება მონიტორინგის მექანიზმიდან გამომდინარე.
- საჯარო მმართველობის საგზაო რუკის დანაწილება 8 სამოქმედო გეგმად სამოქალაქო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მთავრობების საქმიანობების დასაკავშირებლად.
- ადვოკატირების კამპანიის ფუნქციონირება სამოქალაქო ორგანიზაციების მუშაობისთვის დასავლეთ საქართველოში, რომელიც მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანამშრომლობის გაძლიერებას ადგილობრივ თვითმმართველობებთან.
- საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოს შემუსავება მონიტორინგის მექანიზმისა და საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების შესახებ.